მწველი სიჩუმე და ყველაფერი მშვიდობის გარდა

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

მწველი სიჩუმე და ყველაფერი მშვიდობის გარდა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2023

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
ავტორები: გიგა კარაპეტიანი, ანი გოგბერაშვილი
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
თარგმანი ინგლისურ ენაზე: ნინო კარანაძე
თარგმანი რუსულ ენაზე: როლანდ რაიკი
ფოტო ყდაზე: თაკო რობაქიძე
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიგა კარაპეტიანი, ანი გოგბერაშვილი, „მწველი სიჩუმე და ყველაფერი მშვიდობის გარდა“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

ავტორების წინასიტყვაობა 4

კვლევის მიზანი და სამუშაო მეთოდოლოგია 5

მეთოდები, შერჩევა და საველე სამუშაოების დახასიათება..... 5

ფენომენოლოგიური მიდგომა..... 6

ქართულ-ოსური კონფლიქტების მიმოხილვა 7

'გაყინული' კონფლიქტი და 2000-იანი წლები 8

სოციალური, ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევები 9

კვლევის თეორიული წინამძღვრები.....10

მშვიდობის მშენებლობის თეორია.....11

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორია.....11

კოლექტიური ტრავმის თეორია / კრიზისის ქრონიკულობა.....12

კვლევის შედეგები 14

ქართულ-ოსური თანაცხოვრების დინამიკა.....14

ომისა და კონფლიქტის აღქმა: მწველი სიჩუმე და ყველაფერი მშვიდობის გარდა.....19

მშვიდობის მშენებლობის მრავალშრიანობა.....22

დასკვნა 26

ბიბლიოგრაფია 28

ავტორების წინასიტყვაობა

საქართველოს უახლესი ისტორია სავსეა შიდა კონფლიქტებითა თუ ომებით; თუმცა, პოლიტიკური დღის წესრიგიდან, თითქმის სრულად არის განდევნილი იმ ადამიანების ხმები თუ მათ გამოცდილებებზე დაფუძნებული მსჯელობა, რომლებსაც ეს ომები პირდაპირ შეეხო და რომელთაც კონფლიქტების მეხსიერება აქვთ. ამის გათვალისწინებით, ეს ანგარიში, ჩვენი, ავტორების მცდელობა იყო, გვესაუბრა ქართველებისა და ოსების თანაცხოვრებაზე, კონფლიქტებზე და მშვიდობის მიღწევის აუცილებლობასა თუ მის მრავალშრიანობაზე. არსებული საკითხების კვლევის პროცესში, სწორედ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქართველი და ოსი მოსახლეობის გამოცდილებებს, თხრობის ქრონოლოგიასა და მათ სიტყვებს დავეყრდენით; ამ ანგარიშსაც, ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვები დავარქვით სახელად. კვლევაზე მუშაობის პროცესში, გვინდოდა, მიგნებების არასწორი ინტერპრეტაციისგან მაქსიმალურად დაზღვეულები ვყოფილიყავით. ამ მიზნით, ანგარიშში უხვად ჩავრთეთ რესპონდენტების სიტყვები და მათი ხმები ამ ფორმით ავსახეთ. ვიაზრებთ, რომ ეს ანგარიში სრულად ვერ ფარავს იმ მრავალფეროვან თუ ურთიერთსაწინააღმდეგო გამოცდილებებს, რომლებიც ომისა და მშვიდობის, თანაცხოვრებისა და გლოვის თემებს შეიძლება უკავშირდებოდეს; მეორეს მხრივ, ანგარიში სავსეა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის დამაფიქრებელი გამოცდილებებითა და მომავლის მიმართ ხედვებით; ამის გამო, მიგვაჩნია, რომ ამ ტექსტს აქვს პოტენციალი, გახსნას სააზროვნო ველი მოვლენების ახალი პერსპექტივებით დანახვისთვის.

აღვნიშნავთ, რომ მიგნებების ანალიზის ნაცვლად, თავად მიგნებები მივიჩნიეთ მოვლენების ანალიზის წყაროდ.

მადლობას ვუხდით კვლევის ყველა მონაწილეს დასამახსოვრებელი თანამშრომლობისთვის და მასპინძლობისთვის.

გიგა კარაპეტიანი
ანი გოგბერაშვილი

კვლევის მიზანი და სამუშაო მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის ანგარიში, მიზნად ისახავს შეისწავლოს და გაანალიზოს, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ომთან დაკავშირებული მეხსიერება და მშვიდობის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული აღქმები. კვლევის მიზნის მისაღევად, დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

- ⇒ 90-იანი წლების კონფლიქტისა და 2008 წლის რუსეთის ომის შესახებ რეფლექსია და ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული თანაცხოვრების გამოცდილებები;
- ⇒ მშვიდობის კონცეპტუალიზება და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩართვის პერსპექტივები;
- ⇒ ცხოვრება განგრძობადი ბორდერიზაციის პირობებში: წარსულის გადააზრება, აწმყოზე რეფლექსია და მომავლის მიმართ აღქმები.

კვლევის მიზნის შესწავლისთვის, გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდოლოგია. თავის მხრივ, თვისებრივი მეთოდოლოგია გულისხმობს სხვადასხვა ფენომენის შესწავლას და ამ ფენომენების იმ ფორმით აღწერას, როგორც ეს თავად ინფორმანტებს, კვლევის მონაწილეებს ესმით. ამასთან ერთად, თვისებრივი მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევა, იძლევა შესაძლებლობას, კვლევის ანგარიშში ინტეგრირდეს რესპონდენტების ხმები, რაც მკვლევარს მიგნებების არასწორი ინტერპრეტაციისგან აზღვევს (Cooper & Finley, 2014). თვისებრივი მეთოდოლოგიის ტექნიკებიდან, შერჩეულ იქნა სიღრმისეული და ჯგუფური ინტერვიუს მეთოდი და ჩართული გამჟღავნებული დაკვირვება.

მეთოდები, შერჩევა და საველე სამუშაოების დახასიათება

საველე სამუშაოების პირველი ეტაპი, მიზანთან დაკავშირებულ კონტექსტთან მკვლევრების დაახლოებას, მოსახლეობასთან არაფორმალიზებულ საუბრებს გულისხმობდა. ამ ეტაპზე, გამოყენებულ იქნა ჩართული გამჟღავნებული დაკვირვების მეთოდი ორ სოფელში - ერგნეთსა და შინდისში. ამ სოფლებში მკვლევარმა სამი დღე გაატარა. საველე სამუშაოების პროცესში, ხდებოდა საველე ჩანაწერების გაკეთება, იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც აქტორებისგან გროვდებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ამ მეთოდით მუშაობა განსაკუთრებით ეფექტიანი კაცებთან თანამშრომლობისთვის აღმოჩნდა, ვინაიდან ხშირად, კაცები უარს აცხადებდნენ, სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატით ესაუბრათ მკვლევართან და მომხდარიყო საუბრის აუდიო ჩანაწერის გაკეთება. ჩართული გამჟღავნებული დაკვირვების შემდეგ, იგივე სოფლებში - შინდისსა და ერგნეთში, გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუირების ტექნიკა. ამის შემდეგ, სოფელ ტირძნისსა და მერეთში, ორი ჯგუფური ინტერვიუ ჩატარდა. აღნიშნული მეთოდების გამოყენება, მკვლევარსა და რესპონდენტს შორის აქტიურ კომუნიკაციას გულისხმობდა; ინტერვიუირების დაწყებამდე, რესპონდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია კონფიდენციალობის დაცვის გარანტიების შესახებ. ამასთან ერთად, იცოდნენ, რომ კვლევაში მათი მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო და ნებისმიერი არასასურველი კითხვის შემთხვევაში, შეეძლოთ უარი ეთქვათ პასუხის გაცემაზე, ან შეეწყვიტათ მკვლევართან თანამშრომლობა.

სიღრმისეული და ჯგუფური ინტერვიუები, წინასწარ შემუშავებული ნახევრად-სტრუქტურირებული გზამკვლევის მიხედვით წარიმართა; გზამკვლევში, ამოცანებთან დაკავშირებული საკითხები ღია კითხვების სახით იყო ინტეგრირებული. ამასთან ერთად, საველე სამუშაობის დროს, გზამკვლევი მოერგო ინფორმანტების პერსონალურ გამოცდილებებს და კვლევის მიზანთან დაკავშირებული იმ საკითხებით შეივსო, რომელიც გზამკვლევის შედგენის ეტაპზე არ განსაზღვრულა და მკვლევრისთვის ცხადი, ინფორმანტებთან თანამშრომლობის დაწყების დროს გახდა.

საბოლოოდ, კვლევის ანგარიშში 29 რესპონდენტისგან შეგროვებული მიგნებებისა და მკვლევრის მიერ გაკეთებული საველე ჩანაწერების ასახვა მოხდა; კვლევის მონაწილეების საშუალო ასაკი, 50 წელი იყო[1]. ოთხი რესპონდენტი იყო ეთნიკურად ოსი, ხოლო ორი რესპონდენტი - შერეული ოჯახიდან. კვლევის მონაწილეების უმეტესობას, ოსი ნათესავები ჰყავდა. საველე სამუშაოები 2023 წლის 15 აგვისტო - 17 სექტემბრის პერიოდში ჩატარდა. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობამ 55 წუთი შეადგინა. ასევე, რადგან თვისებრივი მეთოდოლოგიის ძირითადი მიზანი სამიზნე ჯგუფის წევრებში გავრცელებული ძირითადი ტენდენციების შესწავლა და არა მიგნებების მთელს სამიზნე ჯგუფზე განზოგადებაა (წულაძე, 2020, pp. 46-47), მოცემული კვლევა შერჩევის მიზნობრივ მიდგომას დაეყრდნო; კვლევის მიზნიდან გამომდინარე, რელევანტური იყო ნებისმიერი იმ ადამიანის გამოცდილებებისა და მოსაზრებების სწავლა, რომელიც შიდა ქართლის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში - ერგნეთში, ტირძნისში, მერეთსა და შინდისში ცხოვრობდნენ. აღნიშნული სოფლები შეირჩა ადმინისტრაციულ ხაზთან მდებარეობის, ბორდერიზაციის მიმდინარე პროცესისა და კონფლიქტების უშუალო გამოცდილების გამო. სოფელ ერგნეთის შემთხვევაში, ამას ემატება 2004 წლამდე ერგნეთის ბაზრის არსებობაც, რომელიც ქართველებისა და ოსების შეკავშირების მნიშვნელოვან ხიდს წარმოადგენდა.

ფენომენოლოგიური მიდგომა

კვლევამ ცენტრში მოაქცია ინფორმანტების ომისა და თანაცხოვრების მეხსიერება, მშვიდობის მშენებლობის პროცესებში, მოსახლეობის ჩართვის პერსპექტივები და ამ გზაზე, შესაძლო ლიმიტაციების განსაზღვრა. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა ობიექტური ჭეშმარიტების ძიების ნაცვლად, მოვლენების აღქმის სუბიექტურობას აღიარებს და იკვლევს იმას, თუ რას ნიშნავს და როგორ ინტერპრეტირდება ეს მოვლენები პერსონალურად ინფორმანტებისთვის (Westlund, 2012, p. 87), კვლევა ფენომენოლოგიურ მიდგომას დაეყრდნო. თავის მხრივ, ფენომენოლოგია, ფილოსოფიურ ცოდნასთან ერთად, მეთოდოლოგიური მიდგომაცაა (Cooper, 2014, p. 70), სადაც რეალობის სოციალურად კონსტრუირებულობაა აღიარებული; ამ დაშვებით, მკვლევარი ინფორმანტთან თანამშრომლობას იმ მიზნით იწყებს, რომ ჩაწვდეს, თუ როგორ ყალიბდება კვლევის მონაწილეების მოსაზრებები და ახსნები სხვადასხვა მოვლენისა თუ საკითხის მიმართ (Atkinson, 2017, p. 35). ამ ცოდნის გათვალისწინებით, მკვლევრების თვალთახედვა ფენომენოლოგიურია; ვაღიარებთ მოვლენების აღქმის სუბიექტურობას და ვცდილობთ, მოვლენების ახსნისა და მიგნებების სინთეზირების პროცესში, თავად რესპონდენტების გამოცდილებებს დავეყრდნოთ.

[1] რესპონდენტებიდან, ასაკით ყველაზე უმცროსი 17, ხოლო ყველაზე უფროსი 82 წლის იყო.

ქართულ-ოსური კონფლიქტების მიმოხილვა

ქართულ-ოსური გაუცხოების ისტორიის ძიებისას, მნიშვნელოვანია 1980-იანი წლების გახსენება. სწორედ ამ დროიდან, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პირობებში, იწყება სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის გაძლიერება. შედეგად, ის ოსები, რომლებიც საბჭოთა საქართველოში შემავალ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობდნენ, პატარა საბჭოთა რესპუბლიკის შექმნაზე, ხოლო ქართველები, მონოეთნიკური ქვეყნის შექმნაზე იწყებდნენ ფიქრს (გაჩეჩილაძე, 2011, გვ. 51); უკვე 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ქართულ-ოსური ურთიერთობების დაძაბვა ხილვადი ხდება (ზაქარეიშვილი, და სხვ., 2005, გვ. 9); 1990-იანი წლებიდან კი ის ეთნიკური კონფლიქტები იწყება (თარხან-მოურავი, 2011, გვ. 6), რომელსაც *სამოქალაქო ომი*[2] შეიძლება ეწოდოს; ამ ომების პერიოდში, არ ხდებოდა ელემენტარული მორალური ან, თუნდაც - *ომის წარმოების რაღაც წესების* დაცვა (გაჩეჩილაძე, 2011, გვ. 51). მოვლენების აღწერისას, გასათვალისწინებელია საბჭოთა კავშირის დაშლა, რის შემდეგაც, 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა (სართანია, 2021, გვ. 1); დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, არასდროს მიუღია ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის ფორმა; ნაცვლად ამისა, ქართულ-ოსური ურთიერთობები პერიოდული დაძაბულობითა და ჩაწყნარებით ხასიათდებოდა (თარხან-მოურავი, 2011, გვ. 6).

1991-1992 წლების ქართულ-ოსურ კონფლიქტს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კრიმინალური შემადგენელი ჰქონდა (ზაქარეიშვილი, და სხვ., 2005, გვ. 9), თუმცა, მასში ქართულ-ოსური ეთნო-ნაციონალური დაპირსიპირება ჩანდა, რის განსაზღვრაშიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის, 1991 წელს არჩეული ზვიად გამსახურდიას ეთნო-ნაციონალისტურმა დისკურსმაც იქონია გავლენა (სართანია, 2021, გვ. 5); პრეზიდენტის აღნიშნულმა ექსკლუზიურმა რიტორიკამ, გარკვეული როლი შეიტანი იმაშიც, რომ ქართული ეროვნული პროექტისგან ოსების დისტანცირება მოხდა (ჭანკვეტაძე & მურუსიძე, 2021, გვ. 2).

ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად, ასობით ადამიანი დაიღუპა, ხოლო ათასობით ქართველმა და ოსმა იძულებით დატოვა საკუთარი საცხოვრებელი (სართანია, 2021, გვ. 5). 90-იანი წლების კონფლიქტებისას, 117 ოსური სოფელი მთლიანად გაიძარცვა და დაიწვა; დაზარალდა ცხინვალის საცხოვრებელი ფონდის 15%-იც (ხარებოვი, 2011, გვ. 8).

საგულისხმოა ისიც, რომ 90-იანი წლების კონფლიქტამდე, 1989 წლის აღწერით, საქართველოში 164,055 ოსი ცხოვრობდა, მათ შორის 65,232 სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო 98,823 ცხოვრობდა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე - თბილისში, ცხინვალში, შიდა ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, რუსთავში და ა.შ. (ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2022, გვ. 5). ეთნიკურ ნიადაგზე შევიწროვება შეეხო ყველა ამ რეგიონში მცხოვრებ ოს მოსახლეობას. ამასთან, 2002 წლის აღწერით, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების რაოდენობა 38,028-მდე შემცირდა, ხოლო ბოლო მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები ოსების რაოდენობა 14,385-ს შეადგენს (იქვე, გვ. 6).

[2] სამოქალაქო ომის განმარტებისთვის იხილეთ: Cederman, L.-E., & Vogt, M. (2017). Dynamics and Logics of Civil War. *Journal of Conflict Resolution*, *61*(9), 1992-2016.

‘გაყინული’ კონფლიქტი და 2000-იანი წლები

1990-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტების პირველი მწვავე ფაზის დასრულების შემდეგ პერიოდს ‘გაყინული’ ეწოდა. ეს ეტაპი არ გამორიცხავდა არც არსებული მდგომარეობის ცვლილებას და არც კონფლიქტების ახალი ფაზის გახსნის რისკისგან იყო დაზღვეული. 90-იანი წლების კონფლიქტების შემდეგ, ქართულ-ოსური ურთიერთობები მოკლევადიანად, 2004 წლის ზაფხულში გამწვავდა (თარხან-მოურავი, 2011, გვ. 6) მას შემდეგ, როდესაც ერგნეთის ბაზარი საქართველოს შს სამინისტრომ დახურა. თავის მხრივ, ერგნეთის ბაზარმა, რომელსაც ოსები ‘ტეკს’ უწოდებდნენ (ხარებოვი, 2011, გვ. 10), 90-იანი წლების კონფლიქტების შემდეგ, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა და ყოფით დონეზე, ქართველებსა და ოსებს შორის კონტაქტები აღადგინა (ჩიგოევი, 2011, გვ. 44).

შეიარაღებული დაპირისპირების ინტენსივობის კლებამ ადგილობრივ ქართველ და ოს მოსახლეობას საშუალება მისცა აღედგინა ურთიერთობები და თანამშორმლობა. 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისის პერიოდს ხშირად ტრანსფორმირებულ კონფლიქტათაც მოიხსენებენ, რადგან ამ პერიოდში მოსახლეობა ინტენსიურად ურთიერთობდა და გადაადგილდებოდა ორივე მიმართულებით, ვაჭრობდა, თანამშრომლობდა სხვადასხვა სფეროებში, აღდგა ნათესაური და მეგობრული კავშირებიც. თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ქართულ-ოსურ ურთიერთობებს აღარ მიუღია ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის მსგავსი ფორმა;

2008 წლის აგვისტოს ომმა ქართულ-ოსური ურთიერთობების დინამიკა მნიშვნელოვნად შეცვალა; თუ 90-იანი წლების კონფლიქტებში, ძალადობის მსხვერპლად თავს უმეტესაც ოსები მიიჩნევდნენ, 2008 წლის ომის შემდეგ, იგივე კატეგორიაში ქართველებმა დაიწყეს საკუთარი თავის მოაზრება (ხაინდრავა, 2011, გვ. 46). ამასთან ერთად, 2008 წლის ომის შემდეგ, სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა რიცხვს[3] 24 ათასი ახალი იძულებით გადაადგილებული პირი დაემატა; მათ შორის ისინიც, რომლებიც საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან განმეორებით გამოაგდეს (თარხან-მოურავი, 2011, გვ. 18-19). ომის შემდეგ, საქართველომ კონტროლი დაკარგა 189 სოფელზე, მათგან 125 კი დღემდე საოკუპაციო რეჟიმის ქვეშ რჩება. კრემლმა სრულად აიღო ცხინვალის რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკურ და სამხედრო კონტროლი.

2008 წლის ომიდან 15 წლის შემდეგ, ოკუპირებული რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე ბორდერიზაციის პროცესი კვლავ გრძელდება[4]. ამას თან საოკუპაციო ძალების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის პერიოდული დაკავებები ერთვის, რაც რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს და აძლიერებს მათი დაუცველობის განცდას. განგრძობადი ბორდერიზაციის პირობებში, ქართული პოლიტიკური დისკურსი, ძირითადად, რუსული ოკუპაციის საკითხით შემოიფარგლება და ოსების დამოუკიდებლად მოქმედებასა, თუ მათი ნების გათვალისწინებას არ ახდენს (ჭანკვეტაძე & მურუსიძე, 2021, გვ. 3-4); მსგავსი პოლიტიკის გამო, იგნორირებულია კონფლიქტური რეგიონების შიგნით არსებული სპეციფიკის დანახვა და ისიც, რომ ეს რეგიონები დანარჩენ საქართველოს ჩამოშორდნენ.

---

[3] 90-იან წლებში განვითარებული ქართულ-ოსური კონფლიქტების შედეგად, 2008 წლამდე, სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობის რაოდენობა 13 ათასი იყო

[4] მაგ: იხ: https://rb.gy/ecyk3, https://rb.gy/5jdu9, https://rb.gy/ij76x.

საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაზე საუბრისას უნდა გამოვყოთ 2008 წლის ომამდე და ომის შემდეგ პერიოდები. 1992 წელს, შეირაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ სოჭში გაფორმებული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე, შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია (საქართველოს, რუსეთის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის მონაწილეობით) და სამშვიდობო ძალები[5]. პროცესში ჩართული იყო ეუთოც, რომელსაც 1992 წელს მოლაპარაკების ფასილიტაციის მანდატი ჰქონდა, ხოლო შემდეგ ადგილზე ვითარების მონიტორინგის ფუნქციაც შეიძინა. 2005 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა წარადგინა კონფლიქტის მოგვარების სამეტაპიანი გეგმა, რაც მოიცავდა ნდობის აღდგენას ადამიანური კავშირების აღდგენის გზით, დემილიტარიზაციას და უსაფრთხოების გამყარებას და კონფლიქტური რეგიონებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას. ამასთან, ეუთოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით გამოიყო რესურსები რეგიონის ეკონომიკური გაძლიერებისთვის (ფირანიშვილი, 2020)(იქვე, გვ. 5. ეუთოს წარმომადგენლობა 2008 წლამდე რეგიონში უსაფრთხოების გარანტად რჩებოდა, თუმცა 2009 წელს რუსეთმა ვეტო დაადო ეუთოს სადამკვირვებლო მისიის გაგრძელებას.

2008 წლის ომის შემდეგ, კონფლიქტმა მთლიანად საერთაშორისო მიმართულება შეიძინა, ხოლო სამშვიდობო პოლიტიკა არაღიარების ხედვას დაეფუძნა, რაც ნიშნავდა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კონფლიქტების ისტორიულ გამოცდილებასა და ამ გამოცდილებების საფუძველზე დე-ფაქტო მმართველობასთან პირდაპირი დიალოგის მნიშვნელობას არ აღიარებდა (ფირანიშვილი, 2021). 2008 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონმა სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად გამოაცხადა. 2010 წელს ხელისუფლებამ შეიმუშავა სტრატეგია "ჩართულობა თანამშრომლობის გზით," რომლითაც კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარების შესაძლებლობა გამორიცხა და დაამტკიცა ადამიანზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ჰუმანიტარულ დახმარებას, ადამიანის უფლებების დაცვას, ჯანდაცვასა და განათლებაზე წვდომის გაზრდას, ეკონომიკურ პროექტებს ითვალისწინებდა. ამასთან, სტრატეგიული დოკუმენტში ხაზგასმულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზანი. აღნიშნული სტრატეგია მიიჩნეოდა პროაქტიურ ნაბიჯად მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებისკენ, თუმცა ექსპერტები დასაწყისშვივე უსვამდნენ ხაზს სტრატეგიის იმპლემენტაციის მხრივ არსებულ პრობლემებს (Gegeshidze, 2011, p. 34). 2012 წლიდან დღემდე, სტრატეგიაში ფუნდამენტური ცვლილებები არ შესულა და ის ვერ პასუხობს მოსახლეობის გამოწვევებსა და სოციალურ თუ პოლიტიკურ ცვლილებებს (ფირანიშვილი, 2021).

სოციალური, ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევები

ადმინისტრაციული ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის მუდმივად დგას სოციალური, ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევები, რაც დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის მხრიდან მშვიდობის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებულ აღქმებზე. 2023 წლის , ასოციაცია "თანხმობის", ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და ქალთა ფონდი "სოხუმის" მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ კვლევის მონაწილეთა 75%-მა აღნიშნა, რომ მათ დასახლებაში/დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის საავადმყოფო, 93%-ის თქმით კი მათ სოფლებში არ არის

[5] სოჭის შეთანხმება, 1992 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://peacemaker.un.org/georgia-sochi-agreement92

აფთიაქი (გვ. 10). იმავე კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 58%-ისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე წვდომა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას. მოსახლეობისთვის გამოწვევას წარმოადგენს მოუწესრიგებელი გზები, საზოგადოებრივ ტრანსპორტის ნაკლებობა სასმელი წყლის მიწოდება, და აშ. (იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა; ქალთა საინფორმაციო ცენტრი; ქალთა ფონდი სოხუმი, 2023, გვ. 11-12).

კონფლიქტის შედეგად, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაკარგა წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, საძოვრებზე, წყლის რესურსებზე (საერთაშორისო ამნისტია, 2019). ზოგიერთ შემთხვევაში მიწები სრულადაა მოქცეული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს, რაც ადამიანებს საკუთარი მიწების დამუშავების საშუალებას არ აძლევს (UN Women, 2019, გვ. 20. ეს საკითხი დაკავშირებულია კვების უსაფრთხოებასთანაც. ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ბევრ სოფელში მავთულხლართები პირდაპირ სასოფლო სამეურნეო მიწებზე გადის. ასოციაცია "თანხმობის" კვლევის (2023) მიხედვით, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის 52%-მა განაცხადა, რომ მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთები კანონით, მათ საკუთრებაში რეგისტრირებული არ არის (გვ. 12).

ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის აქტუალურია როგორც ეროვნული, ისე ინდივიდუალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები. "ბორდერიზაციის" პროცესის შედეგად, მოსახლეობას უწევს დაკავებისა და გატაცების მუდმივ შიშში ცხოვრება. ასოციაცია "თანხმობის" კვლევის (2023) მიხედვით, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის 63%-მა აღნიშნა, რომ მათ სოფლებში არ არის პოლიციის განყოფილებები, ხოლო 39%-ის თქმით, სოფლებში არ არის პოლიციის ოფიცერიც კი (გვ. 38). გარდა ამისა, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში დღემდე არ ფუნქციონირებს ადრეული შეტყობინების სისტემა, რაც საფრთხის დროული იდენტიფიცირებისა და საპრევენციო ზომების მიღებისთვისაა აუცილებელი. არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სოციალური მხარდაჭერის განვითარების სპეციალური მიდგომები ადმინისტრაციული ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის არასაკმარისია და დამატებით, კონტექსტს მორგებული მიდგომების შემუშავებას საჭიროებს.

კვლევის თეორიული წინამძღვრები

რეგიონში არსებულმა კომპლექსურმა და ცვალებადმა სოციო-პოლიტიკურმა კონტექსტმა უდიდესი გავლენა მოახდინა ადმინისტრაციული ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან მშვიდობის აღქმაზე. მოუგვარებელმა კონფლიქტმა და მუდმივმა კრიზისებმა, მრავალგზის შეცვალა აქ მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება, მათი ურთიერთობები და მომავლის ხედვა. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის გამოცდილება და პერსპექტივა უმნიშვნელოვანესია ინფორმირებული და კონტექსტის შესაბამისი სამშვიდობო სტრატეგიების შესაქმნელად. კვლევის თეორიული ჩარჩო აგებულია მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა, კოლექტიური ტრავმის და კრიზისის ქრონიკულობის თეორიების გარშემო.

მშვიდობის მშენებლობის თეორია

მშვიდობის მშენებლობის თეორია საშუალება გვაძლევს, რომ მშვიდობის მშენებლობა დავინახოთ არა როგორც აბსტრაქტული მიზანი, არამედ ხელშესახები პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდებისა და თემების ყოველდღიურ ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე. თუ მშვიდობის ნეგატიური გაგება მხოლოდ ომის არარსებობას გულისხმობს და კონფლიქტის რეგიონებში არსებული კომპლექსურ დინამიკას მხოლოდ ნაწილობრივ ხედავს, მშვიდობის პოზიტიური გაგება ყურადღებას ძალადობის ისეთ სტრუქტურულ ფორმებზე ამახვილებს, როგორიცაა სიღარიბე, უთანასწორობა, დისკრიმინაცია, ჩაგვრა (Galtung, 1996). შესაბამისად, მშვიდობის მშენებლობისადმი პოზიტიური და ჰოლისტური მიდგომა გულისხმობს არა მხოლოდ ძალადობის აღმოფხვრას, არამედ შერიგებას და მდგრადი ურთიერთობების დამყარებასაც. ამ მიდგომის თანახმად, აუცილებელია კონფლიქტის მიზეზების შესწავლა, ურთიერთობების ტრანსფორმაცია და ახალი სტრუქტურებისა თუ ინსტიტუტების შექმნა მშვიდობის მხარდასაჭერად (Lederach, 1997). ამასთან, მშვიდობის მშენებლობა დინამიური პროცესია და მუდმივად იცვლება კონფლიქტის ბუნებიდან გამომდინარე, არსებული რეალობისა და დილემების საპასუხოდ (იქვე). მშვიდობის მშენებლობის თეორია ითვალისწინებს როგორც ზემოდან ქვემოთ მიდგომას, რაც მაღალი რანგის მოლაპარაკებებს, დიპლომატიურ ჩარევას და პოლიტიკური შეთანხმებებს გულისხმობს, ასევე ქვემოდან ზემოთ მიდგომას, სადაც ადგილობრივი თემები, სამოქალაქო საზოგადოებაა და მათი პერსპექტივები და ინიციატივები განსაზღვრავენ კონფლიქტების საკუთხებზე მუშაობას. მშვიდობის მშენებლობის თეორია ქმნის ინტელექტუალურ და პრაქტიკულ ჩარჩოს მშვიდობის, როგორც დინამიური და მრავალშრიანი პროცესის შესასწავლად.

ქვემოდან ზემოთ მიდგომის მნიშვნელოვანი ნაწილია ყოველდღიური მშვიდობის პერსპექტივა. ყოველდღიური მშვიდობა გულისხმობს პრაქტიკებსა და ნორმებს, რომლებსაც იყენებენ ინდივიდები და ჯგუფები "ღრმად დაყოფილ საზოგადოებებში," იმისათვის რომ თავიდან აიცილონ კონფლიქტები და დაძაბულობები (Mac Ginty, 2014). ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფების აგენტობაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში კონფლიქტით დაზარალებულ კონტექსტებში. ყოველდღიური მშვიდობის მაგალითებია მიკრო-სოლიდარობის პრაქტიკები, რაც ადამიანებს შორის თანამშრომლობას და ერთმანეთის ხელშეწყობას გულისხმობს, ყოველდღიური დიპლომატია და ა.შ. (იქვე). ყოველდღიური მშვიდობის პრაქტიკებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის დიდი პოტენციალი აქვს.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორია

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორია გვთავაზობს უფრო სიღრმისეულ პერსპექტივას კონფლიქტის ბუნების ცვლილებასთან და მისი დესტრუქციულიდან კონსტრუქციულ ძალად გარდაქმნის პროცესთან დაკავშირებით. კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიის თანახმად, ძალადობის აღმოფხვრის შემდეგ, ტრანსფორმაციის შემდეგი ეტაპი მდგრადი, მშვიდობიანი ურთიერთობების შექმნა-შენარჩუნებას, კონფლიქტის შემდეგ ძალების აღდგენასა და მის გამომწვევ მიზეზებზე მუშაობას უკაშირდება (Kriesberg, 2011). აღნიშნული თეორია ხაზს უსვამს, რომ ხშირად კონფლიქტის საფუძველი უთანასწორობა, უსამართლობა, ისტორიული წყენები, იდენტობასთან დაკავშირებული უთანხმოებები ხდება. მდგრადი მშვიდობის მისაღწევად კი აუცილებელია ტრანსფორმაციები ურთიერთობებში, სტრუქტურებსა და სოციალურ ნორმებში (Lederach, 2015). კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორია ცნობს კონფლიქტების ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარეს და

ყურადღებას ამახვილებს ნდობის დამყარებაზე, ემპათიაზე და ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე კონფლიქტის მხარეებს შორის.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიის თანახმად, კონფლიქტი და მისი შემდგომი ცვლილებები ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამ ცვლილებებს შესაძლოა ჰქონდეს პერსონალური, ურთიერთობებთან დაკავშირებული, სტრუქტურული და კულტურული განზომილებები (Lederach, 2015). პერსონალურ განზომილებაში, კონფლიქტი გავლენას ახდენს ინდივიდების ფიზიკურ და მენტალურ კეთილდღეობაზე და მოვლენების აღქმაზე. ურთიერთობასთან დაკავშირებული განზომილება ყურადღებას ამახვილებს ცვლილებებზე პირად ურთიერთობასა და ძალაუფლებრივ ურთიერთმიმართებებზე და ცდილობს ღია კომუნიკაციის გზით იმუშაოს მხარეების ურთიერთგაგებასა და დამოკიდებულებების ცვლილებაზე სტრუქტურული განზომილება ეხება კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს, სოციალური სტრუქტურების, ინსტიტუტების გავლენებს. ის ხელს უწყობს ისეთი სტრუქტურების შექმნას, რომლებიც ადამიანთა ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და კონფლიქტით დაზარალებულთა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობას უზრუნველყოფს. კულტურული განზომილება გულისხმობს კულტურის გავლენას კონფლიქტების აღქმასა და კონფლიქტის საპასუხო ქმედებებზე (იქვე). შეჯამების სახით, ცხადი ხდება, რომ კონფლიქტების ტრანსფორმაცია ის მრავალგანზომილებიანი მიდგომაა, რომელიც კონფლიქტებისგან გამოწვეულ ცვლილებებს აკვირდება ადამიანების ცხოვრების პირად, ურთიერთობასთან დაკავშირებულ, სტრუქტურულ და კულტურულ განზომილებებში და ცდილობს, მიღებული ინფორმაცია კონსტრუქციული ცვლილებებისთვის გამოიყენოს.

კოლექტიური ტრავმის თეორია / კრიზისის ქრონიკულობა

კონფლიქტების კონსტრუქციული გზით ტრანსფორმაციის შემდეგ, უმეტეს შემთხვევებში რჩება ემოციური და ფსიქოლოგიური ტრავმები როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე, რაც ასევე საჭიროებს შესწავლას. ამისათვის, **კოლექტიური ტრავმის თეორია** გვთავაზობს ჩარჩოს ტრავმატულ მოვლენათა გავლენების შესასწავლად ადამიანთა ჯგუფებზე. ის ხაზს უსვამს, რომ ტრავმატულ მოვლენებს შესაძლოა ჰქონდეს გრძელვადიანი შედეგები არა მხოლოდ ინდივიდებისთვის, არამედ უფრო ფართო საზოგადოებისთვისაც და ყურადღებას ამახვილებს ტრავმასთან გამკლავების კოლექტიურ გზებზე. კვლევების თანახმად, კოლექტიური ტრავმა და ტრავმის მეხსიერება გავლენას ახდენს მომავალ თაობებზეც, რომლებიც ამ მოვლენას უშუალოდ არ შესწრებიან (Vollhardt & Bilewicz, 2013). უფრო ზუსტად, ტერმინი კოლექტიური ტრავმა აღწერს არა ისტორიულ ფაქტს, ტრაგედიას, რომელიც ადამიანთა ჯგუფს გადახდა, არამედ მათ ფსიქოლოგიურ რეაქციას და გამკლავების გზებს აღნიშნულ ტრავმასთან მიმართებაში (Hirschberger, 2018). კოლექტიური ტრავმის განცდის შემდეგ, როგორც ინდივიდები, ისე ჯგუფები სხვადასხვა გზებით ცდილობენ ამ მოვლენების მნიშვნელობის გაგებას. ეს პროცესი შესაძლოა კომპლექსური და გამოწვევებით სავსე იყოს და მოიცავდეს ისეთ რთულ ემოციებს როგორიცაა დანაშაულის და პასუხისმგებლობის განცდა, გლოვა და წუხილი. ამის მიუხედავად, ეს პროცესი უმნიშვნელოვანესია რეაბილიტაციის პროცესისთვის (იქვე). ისტორიული ტრავმები გავლენას ახდენს ადამიანთა ჯგუფების აღქმებზე, იდენტობებსა და ქცევებზე. მიუხედავად ამისა, ტრავმის მკვლევრების თქმით, შესაძლებელია ისტორიული ტრავმა ტრანსფორმირდეს ურთიერთგაგების, ემპათიის, შერიგების შესაძლებლობად (Li, Leidner, Hirschenberger, & Park, 2023). კოლექტიური ტრავმის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი იმის აღიარებაა, თუ რამდენად

მნიშვნელოვანი როლი აქვს კოლექტიურ მეხსიერებას ისტორიულ ტრავმებთან მიმართებაში. ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეხსიერებას შეუძლია როგორც კონფლიქტის გაღრმავება, ისე დიალოგისა და შერიგების ხელშეწყობა. ტკივილზე, დანაკარგზე საუბარი და მისი აღიარება და ამავდროულად ემპათიისა და ურთიერთგაგების წახალისება რთული და ხანგრძლივი პროცესია, თუმცა ამავდროულად ქმნის მშვიდობიანი თანაცხოვრების პოტენციალს.

წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია კრიზისის ცნების გადააზრებაც. ტრადიციული გაგებით, კრიზისი მოიაზრება, როგორც დროის იზოლირებული პერიოდი, რომელმაც ადამიანების ცხოვრებაზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა მოახდინა. რეალურად, მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კრიზისს არა ეპიზოდური, არამედ ქრონიკული ხასიათი აქვს (ვი, 2023). სტრუქტურულად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფთათვის, სოციალურად მარგინალიზებულთათვის და ღარიბებისთვის სამყარო არა მშვიდობით, ბალანსითა და კეთილდღეობით, არამედ კონფლიქტის მუდმივი საფრთხითა და ქაოტურობით ხასიათდება (იქვე). ჰენრიკ ვის თანახმად, ომები შესაძლოა დროის სხვადასხვა მონაკვეთში დაიწყოს და დასრულდეს, თუმცა მისი გამომწვევი მიზეზები და მისი გავლენა განგრძობადია. ხშირად ადამიანებსა და ინსტიტუციებს კრიზისულ პირობებში ცხოვრებასთან ადაპტაცია და "ბუნდოვანებასთან მორგება" უწევთ (იქვე, გვ.9). ქრონიკულ კრიზისთან ცხოვრებას ხშირად საზოგადოებასა და მასში მიმდინარე ცვლილებების კრიტიკული გადააზრება, სირთულეებთან გამკლავების ახალი სტრატეგიების შემუშავება მოჰყვება. ამავდროულად, მსგავს რეალობაში მცხოვრები ადამიანები მუდმივ გაურკვევლობაში ცხოვრობენ, რადგან ისინი არ იმყოფებიან საგანგებო მდგომარეობაში, თუმცა არც ნორმალური ცხოვრების გაგრძელების საშუალება ეძლევათ (Dunn, 2018).

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ კვლევა ეყრდნობა ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტების ტრანსფორმაციის, კოლექტიური ტრავმის და კრიზისის ქრონიკულობის ცნებას აერთიანებს. მშვიდობის მშენებლობის თეორია გვეხმარება მშვიდობის ხელშესახებ, მრავალგანზომილებიან პროცესად წარმოდგენაში, რაც ძალადობის არარსებობასთან ერთად, შერიგებასა და მდგრადი ურთიერთობების ხელშეწყობას გულისხმობს. ქვემოდან ზემოთ მიდგომა და ყოველდღიური მშვიდობის პრაქტიკები ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორია გვთავაზობს მეტად ღრმა პერსპექტივას, კონფლიქტების დესტრუქციულიდან კონსტრუქციულ პროცესად გარდაქმნაზე და ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის მიზეზებსა და სტრუქტურულ პრობლემებზე. დასასრულს, კოლექტიური ტრავმის თეორია ხაზს უსვამს კონფლიქტების გრძელვადიან ეფექტებს და კოლექტიური მეხსიერების პოტენციალს ისტორიული ტრავმის ემპათიისა და შერიგების შესაძლებლობად გარდაქმნაში, ხოლო კრიზისის ცნების გადააზრება გვეხმარება ადმინისტრაციული ხაზის მიმდებარედ მყოფი მოსახლეობის რეალობის უკეთ აღქმაში. აღნიშნული თეორიული ჩარჩო, რთულ და ცვალებად კონტექსტში, მშვიდობის მრავალშრიანი მნიშვნელობის შესწავლის საშუალებას იძლევა.

კვლევის შედეგები

ქვემოთ წარმოდგენილ სამ ძირითად სექციაში, ავტორები, საველე სამუშაოების შედეგად შეგროვებულ მიგნებებს განვიხილავთ. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა გზამკვლევზე მუშაობის ეტაპიდან, ფენომენოლოგიურ მიდგომას ეფუძნებოდა, კვლევის ამოცანებთან დაკავშირებული გამოცდილებების წარმოდგენის პროცესშიც, რესპონდენტების თხრობის ქრონოლოგიას და ენას მივყვებით. აღვნიშნავთ, რომ საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიგნებების გაანალიზებამ ორი ძირითადი ფაზა - კოდირება და ტიპოლოგიზაცია მოიცვა. კოდირებაში, შეგროვებული მიგნებების თემატური ჩარჩოების შექმნას, ხოლო, კატეგორიზაციაში, ამ ჩარჩოების მიხედვით მიგნებების დაჯგუფებას ვგულისხმობთ. საბოლოოდ, რესპონდენტების თხრობა, მათგან შეგროვებული ვერბალური მასალა, სამ ძირითად კატეგორიაში გავაერთიანეთ: (1) ქართულ-ოსური ურთიერთობების დინამიკა, (2) ომისა და კონფლიქტის აღქმა: მწველი სიჩუმე და ყველაფერი მშვიდობის გარდა და (3) მშვიდობის მშენებლობის მრავალშრიანობა.

ქართულ-ოსური თანაცხოვრების დინამიკა

ქართულ-ოსური ურთიერთობების დინამიკაზე საუბრისას, კვლევის მონაწილეები სამ ძირითად პერიოდს განიხილავენ: (1) 90-იანებამდე პერიოდი, (2) 90-იანებიდან 2008 წლამდე პერიოდი და (3) 2008 წლიდან არსებული დღევანდელობა. ყველაზე დადებითად, რესპონდენტები, 90-იანებამდე არსებულ ურთიერთობებსა და თანაცხოვრების გამოცდილებებს იხსენებდნენ. ოსებსა და ქართველებს შორის ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე, განსაკუთრებით მეტს კვლევის პენსიონერი მონაწილეები საუბრობდნენ. მათივე თქმით, ამ პერიოდში არ ხდებოდა ქართველისა და ოსის გამორჩევა და ადამიანები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი საერთო საქმით, ნათესავობითა და სხვა ახლო ურთიერთობებით. მათ უმეტესობას ჰყავს ოსი ნათესავები და მეგობრები, რომლებთანაც მუდმივი კონტაქტი და მიმოსვლა ჰქონდათ. ხშირი იყო შერეული ოჯახებიც. რესპონდენტების თქმით, ამ პერიოდში დაძაბულობა, ოსი ახლობლების მიმართ გაუცხოება მათთვის უცხო იყო და შესაბამისად, ამ საკითხებზე ფიქრიც კი არ უწევდათ:

> *"ჭირი იყო, ლხინი იყო, მივდიოდით ყველაფერზე და ძალიან მეგობრულად გვხდებოდნენ. იყო ნათელმირონობა და დღეობები. რა საქმეც არ უნდა გქონოდა, ჩავდიოდით ცხინვალში. ვგრძნობდით, რომ ყველა გვენდობოდა და პატივს გვცემდნენ[6] ".*
>
> *"ისე გავიზარდე, რომ არ გამიგია შენ ოსი ხარ და შენ ქართველიო. ესე რომ ყოფილიყო, ქართველთან ხომ არ დავოჯახდებოდი და არც ქართველი ოსს არ მოიყვანდა ცოლად[7]"*

რესპონდენტები იხსენებდნენ, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობები 90-იანების ომის შემდეგ დაიძაბა; არეულობას შეეწირა უამრავი სიცოცხლე, ადამიანებმა დაკარგეს საცხოვრებელი ადგილები და ქონება, ხშირი იყო ყაჩაღობა, სახლების გადაწვა, შურისძიება

[6] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან;
[7] ოსი რესპონდენტი სოფელი მერეთიდან.

და მკვლელობები. ქართულ-ოსურ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა და წყენა ჩაისახა, რაც დღემდე ჩაბეჭდილია რეგიონში მცხოვრები ხალხის მეხსიერებაში. რესპონდენტების თქმით, პოლიტიკური პროცესებისა და სამხედრო დაპირისპირებების ფონზე, განსაკუთრებულად დაძაბული პერიოდი 1989 წლიდან 1993 წლამდე იყო. კვლევის იმ მონაწილეებმა, რომლებსაც ოსი ნათესავები ჰყავთ, პირველად სწორედ ამ დროს იგრძნეს ურთიერთობების გაცივება ქართველებსა და ოსებს შორის. როგორც ისინი იხსენებდნენ, შუღლის გაღვივების მცდელობები იმდენად ძლიერი იყო, რომ შერეულ ოჯახებზეც კი მოახდინა გავლენა და ერთ-ერთი, (ეთნიკურად ოსი) რესპონდენტის თქმით, მასსა და ეთნიკურად ქართველ მეუღლეს შორის წლების თანაცხოვრების მიუხედავად დისტანცია გააჩინა, რაც მიმდინარე პროცესების კარგი ილუსტრაციაა. ამავე პერიოდში არსებული დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად, ნათესავური კავშირების მქონე ქართველები და ოსები მაინც ახერხებდნენ ერთმანეთის სანახავად მისვლა-მოსვლას. ამასთან, ქართველებსა და ოსებს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობებიც ერგნეთის ბაზრის სახით; კვლევის მონაწილეები ამ ურთიერთობებს ***"სახალხო დიპლომატიის"*** სახელით იხსენებდნენ. მათი თქმით, ბაზარი უამრავი ნეგატიური მხარის მიუხედავად, ნაცნობებთან კავშირების აღდგენის და შენარჩუნების და ახალი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობას იძლეოდა; ეს კი, იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, მნიშვნელოვანი იყო:

> *"სახალხო დიპლომატიამ კარგად იმუშავა შემდეგ წლებში. სახალხო დიპლომატია იყო ზუსტად ერგნეთის ბაზარი, სადაც ორივე მხარე შერიგდა და ერთად დაიწყეს მუშაობა. სახალხო დიპლომატიამ გაალღო ყინული[8]"*
>
> *"95-ის მერე ცოტა დაწყნარდა სიტუაცია, რაც უფრო ხალხის დამსახურება იყო. ერგნეთის ბაზარი არსებობდა. შეიძლება აქ იყიდებოდა კონტრაბანდული საქონელი, მაგრამ მოსახლეობისთვის იყო ძალიან კარგი საშუალება. მატერიალურის გარდა, ურთიერთობას აყალიბებდა ერგნეთის ბაზარი. დათბა ურთიერთობები[9]"*

რესპონდენტების შეფასებით, ერგნეთის ბაზარი, როგორც ქართველმა ასევე ოსმა მოსახლეობამ, ურთიერთობის აღდგენისთვის გამოიყენა და, სწორედ ამიტომ, ამ სივრცეს კონფლიქტის მოგვარების პოტენციალი მიეცა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ***წლების განმავლობაში გაცივებული ურთიერთობები თითქოს გათბა, ხალხი ერთმანეთს ისევ დაუახლოვდა... ნელ-ნელა, მაგრამ დაუახლოვდა***[10]; მიუხედავად ამისა, რესპონდენტების თქმით, პოლიტიკურმა ძალებმა ვერ შეძლეს აღნიშნული სახალხო დიპლომატიის დანახვა და სათანადოდ გამოყენება. ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, კონფლიქტის მოგვარებისთვის, მნიშვნელოვანი იყო და კვლავ რჩება, როგორც პოლიტიკური ნების არსებობა, ისე მოსახლეობას შორის ურთიერთობების აღდგენის მზაობა. მხოლოდ ერთის არსებობა კი კონფლიქტის მოგვარების პოტენციალს ვერ შეიძენდა:

---

[8] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან

[9] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან

[10] რესპონდენტი სოფელი შინდისიდან

"ზემოდანაც თუ არ გაკეთდა, მხოლოდ ხალხი რას გააკეთებს. ჩვენ, რაც შეგვეძლო, ქართველებმაც და ოსებმაც ის გავაკეთეთ. აბა, ამდენწლიანი ქიშპის მერე, ისევ დავმეგობრდით. დღე ისე გადიოდა, გვერდი-გვერდ ვიდექით. მეტი ჩვენ ვერაფერს ვიზამდით. დანარჩენი უკვე სხვისი საქმე იყო და სხვას უნდა დაენახა და გაეკეთებინა[11]".

ინტერვიუების დროს, რესპონდენტები იხსენებდნენ, რომ რეგიონში შედარებით სტაბილური მდგომარეობა და გამთბარი ურთიერთობები ოსებსა და ქართველებს შორის 2004 წლამდე გაგრძელდა; იქამდე, სანამ ცხინვალის რეგიონში შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკებები მოხდებოდა. ამავე წელს დაიხურა ერგნეთის ბაზარიც და ყველაფერმა ერთად, კვლავ დააზიანა ბოლო ათწლეულში გაუმჯობესებული ქართულ-ოსური ურთიერთობები. რესპონდენტები ვერ ასახელებენ ერთ კონკრეტულ მომენტს, როდესაც ურთიერთობები გაცივდა და ამბობენ, რომ მდგომარეობა უარესობისკენ ეტაპობრივად მიდიოდა, რისი კულმინაციაც 2008 წლის ომი იყო; ერთ-ერთი რესპონდენტი ბრაზით იხსენებდა: ***რუსეთმა კარგად იმუშავა 2008-ში და ერთმანეთს კიდევ გადაგვკიდა და ამდენი ხალხი მოკლა[12]***. რესპონდენტების შეფასებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, იზოლაცია, შიში და გაუცხოება მოიტანა; გამყოფი საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პრობლემები დამძიმდა; გადაადგილებაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა, შეუძლებელი გახადა ქართველებსა და ოსებს შორის დამთბარი ურთიერთობის შენარჩუნება. სახალხო დიპლომატია და ქვემოდან, ხალხის მხრიდან წამოსული იმ ძალისხმევის გაღების გაგრძელება შეუძლებელი გახდა, რაც 90-იანი წლებიდან 2008 წლამდე პერიოდში ქართველებსა და ოსებს შორის შეკავშირების ხიდს ქმნიდა. კვლევის მონაწილეები ამბობდნენ, რომ ურთიერთობა გაუცივდათ ადმინისტრაციული ხაზის მიღმა მცხოვრებ ნათესავებთანაც. დღეს, რესპონდენტების ნაწილი ნათესავებს სოციალური ქსელების საშუალებით ეკონტაქტება, თუმცა რეგულარული ხასიათი ამას არ აქვს. გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ სოციალური ქსელის გამოყენებით კავშირების შენარჩუნების მცდელობები დღეს ორივე მხრიდან არსებობს, თუმცა ის ვერ ანაცვლებს ფიზიკური ურთიერთობების მნიშვნელობას:

"ჩემი ნათესავები არიან და არ მინდა ჩვენი ურთიერთობა პოლიტიკის მსხვერპლი იყოს. მინდა რომ მივიდე და ისინიც მოვიდნენ. ჩვენ ვიჩაგრებით, სხვა არავინ. ამის [სხვა რესპონდენტის] დედა ცხინვალელია და სულ არავისთან აღარ აქვს ურთიერთობა[13]"

რესპონდენტების თქმით, ქართველებს და ოსებს უნდა ჰქონდეთ ერთად საუბრის, კამათის, წარსულის გახსენების შესაძლებლობა; გარდა ამისა, რესპონდენტები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მათ ურთიერთობის დათბობის ინტერესი აქვთ და გადაადგილებაზე შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში, ხალხი პოლიტიკოსებზე უკეთაც შეძლებდა კავშირების აღდგენაზე მუშაობას.

[11] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[12] რესპონდენტი სოფელი შინდისიდან
[13] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან

საველე სამუშაოების დროს, კვლევის მონაწილეები ბრაზით და გულდაწყვეტით ამბობდნენ, რომ 2008 წლიდან დღემდე ქართულ-ოსური ურთიერთობები რაიმე ფორმით არც განახლებულა და არც უკეთესობისკენ შეცვლილა. მათივე თქმით, ხალხთა შორის ურთიერთობების შენებისთვის, მნიშვნელოვანი ძალისხმევა არავის გაუწევია. საუბრის დროს, რესპონდენტები ვერ იხსენებდნენ ვერც ისეთ პოლიტიკოსს, რომელიც მათ რეალურ წუხილებსა და საჭიროებებს აჟღერებდა. ამავე თემებზე მსჯელობის დროს, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: ***თითქოს საქართველოში არ ვცხოვრობდეთ. ვინც ამ ხაზის[14] აქეთ ვართ, თითქოს ისინიც ცალკე ვცხოვრობთ. არავის აინტერესებს აქ რა ხდება[15]***.

ასაკიანი რესპონდენტების თქმით, აწმყო ქართულ-ოსურმა გაუცხოებამ, ახალგაზრდებზეც იქონია გავლენა; ახალი თაობა ერთმანეთისგან იზოლაციაში გაიზარდა და ამის გამო, ისინი ურთიერთობების აღდგენით დღეს ნაკლებად დაინტერესებულები ჩანან; მათ არ აქვთ ქართულ-ოსური მეგობრობისა და თანაცხოვრების მეხსიერება და ხშირად, მცდარი ისტორიული და პოლიტიკური ნარატივების გავლენის ქვეშ არიან მოქცეულები. რესპონდენტები ამ ფაქტთან დაკავშირებით წუხილს გამოხატავდნენ და, აღნიშნავდნენ, რომ ახალგაზრდებთან მუშაობის გარეშე, ნაკლებად სჯერათ, რომ ურთიერთობები კვლავ დათბება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საველე სამუშაოების დროს, რამდენიმე მოზარდ და 18-20 წლის ბიჭებს ვესაუბრეთ. ოსურ-ქართულ ურთიერთობებზე მსჯელობის დროს, ისინი ამბობდნენ, რომ წარსულზე ინფორმაციას, ძირითადად, ბებია-პაპებისგან იღებენ. ახალგაზრდა რესპონდენტების თქმით, ის მეხსიერება, რომელსაც ბებია-პაპებისგან ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ ისმენენ, ***ხან თბილია და ხან ცივი***[16]. ახალგაზრდების თქმით, რეგიონში მცხოვრები ის ხანდაზმული მოსახლეობა ვისაც იცნობენ, განსაკუთრებულად დარდობენ იმაზე, რომ 2008 წლის ომმა მთლიანად წაშალა ის დამთბარი ქართულ-ოსური ურთიერთობები, რომელიც წლების განმავლობაში შენდებოდა 90-იანი წლების კონფლიქტების შემდეგ. ამ თემაზე მსჯელობის დროს, ახალგაზრდებს ვკითხეთ, თავად როგორ განსაზღვრავდნენ აწმყოში არსებულ ოსურ-ქართულ ურთიერთობებს; ზოგიერთ მათგანს ამ თემაზე უჭირდა ან არ სურდა საუბარი, ხოლო რამდენიმე მათგანი აღნიშნავდა, რომ ფიზიკურმა ბარიერებმა გამყოფ ხაზზე, ისევე როგორც ქართველებისთვის გახადა შეუძლებელი ურთიერთობების ოს ახლობლებთან შენარჩუნება, ასევე დააშორა ოსებიც ქართველებთან. მაგალითისთვის, ერთ-ერთმა რესპონდენტმა გვითხრა: ***ეს საზღვარი მარტო ამ მხარეს ხომ არ არის. იქითა მხარეს ვინც ცხოვრობს, იმათი საზღვარიც არის. როგორც, მაგალითად, ბებიაჩემი ველარ ხედავს თავის ოს ნათესავებს თუ სხვა ახლობლებს, ისე ველარ ახერხებენ ისინიც***[17].

კვლევის მონაწილეებთან მუშაობამ ასევე გამოაჩინა, რომ დღეს კონფლიქტებზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, ქართულ-ოსური ურთიერთობების კონტექსტში, მრავალ შრეს მოიცავს. რესპონდენტების თქმით, ოსების მხრიდან პასუხისმგებლობის მთლიანად ქართველებზე დაკისრება უსამართლოა; განსაკუთრებით, იმ უბრალო ხალხის მისამართით, რომლებიც ადმინისტრაციულ ხაზთან ახლოს ცხოვრობენ და რომლებსაც, ფართო პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არასდროს ჰქონიათ. რესპონდენტები, მთავარ მტრულ ძალად რუსეთს

[14] გულისხმობს ადმინისტრაციულ ხაზს
[15] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[16] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[17] რესპონდენტი სოფელი შინდისიდან

ხედავენ. მათ მიაჩნიათ, რომ ოსები რუსეთის მანიპულაციის მსხვერპლები გახდნენ, რაც პასუხისმგებლობის საკითხის გააზრებას კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის. რესპონდენტების შეფასებით, პასუხისმგებლობების ორმხრივ დანახვას შესაბამისი მუშაობა სჭირდება; და ეს ის საკითხია, რომელიც ქართველებსა და ოსებს შორის დიალოგის გზით უნდა გაირკვეს. დიალოგის გარეშე, პასუხისმგებლობის დაკისრება ცალმხრივად მოხდება, რაც არასამართლიანია. მათივე თქმით, პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული საკითხები დღეს, ზოგადად, კონსესუსის ნაკლებობითაც ხასიათდება.

ოსურ-ქართული თანაცხოვრების დინამიკაზე საუბარი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანდა ოსი რესპონდენტებისთვის. ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, ***დღემდე ვერ გამიგია რა მოხდა ან რატომ ხდება... ისე უცბათ მოხდა ეს ომი და ისე დიდხანს გრძელდება***[18]. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ 90-იანი წლების კონფლიქტების შემდეგ, სოფელში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა მათთან, ოსებთან ამ პერიოდზე არ საუბრობდნენ და ამ ფორმით, ყოველდღიური, მშვიდობიანი თანაცხოვრების შენარჩუნებას ცდილობდნენ. ამასთან, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ წლების შემდეგ, ეს დუმილი ნელ-ნელა დაირღვა და ხშირად, ***ჭირშიც ვლაპარაკობთ უკვე ამ დაძაბულობებზე და ომზე და ლხინშიც. თავიდან არ ვლაპარაკობდით. რაღაცნაირი უხერხულობა ჩანდა. თითქოს მეც უხერხულად ვიყავი, ეს ამბები რომ მოხდა, და ჩემი თანასოფლელებიც***[19]. კვლევის დროს, რამდენიმე ქართველმა და ორმა ოსმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათთვის დღემდე ბუნდოვანია ***რაც მოხდა, რატომ მოხდა... ამაზე***[20] ***ფიქრიც არ დაგვაცადეს და მერე უკვე 2008 წლის ომი მოხდა***[21]; მათი თქმით, 90-იან წლებში, ნამდვილად, იგრძნობოდა, რომ ცხინვალის რეგიონს, დამოუკიდებლობა უნდოდა და ***თითქოს ხალხიც, ოსებიც მზად იყვნენ ამისთვის; მაგრამ ყველა არა. ბევრი, მაგრამ ყველა არა, რადგან დიდი მისვლა-მოსვლა გვქონდა ერთმანეთში, და ზოგი მართლა ვერ იგებდა რა ხდებოდა. ვერ ვარჩევდით მტყუან მართალს. აქეთაც არავინ გვეკითხებოდა უბრალო ხალხს და იქითაც იყო ეგრე, რომ რაც ხდებოდა, ყველა არ ერია იმაში***[22].

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მუდმივი დაძაბულობისა და მრავალი რთულად გადასალახი გამოწვევის მიუხედავად, ქართველები და ოსები ათწლეულების განმავლობაში ახერხებდნენ ურთიერთობების შენარჩუნებას, თუმცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაწესებულმა გადაადგილების შეზღუდვებმა, ფიზიკურმა იზოლაციამ და მკაცრმა სამხედრო კონტროლმა ეს კავშირები გააქრო და ახალი თაობებიც ერთმანეთს დააშორა. მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, კვლევის მონაწილეები ურთიერთობის აღდგენის დიდ სურვილს გამოთქვამენ, რასაც, მათი თქმით, ორივე მხრიდან დასჭირდება შესაბამისი მზაობა და ძალისხმევის გაღება.

ქართულ-ოსური ურთიერთობების დინამიკასთან დაკავშირებული კვლევის მიგნებები, ადასტურებს მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიების რელევანტურობას, რაც მშვიდობის მშენებლობის პროცესებში კონფლიქტის კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებას და ამ მხრივ, ინფორმირებული სტრატეგიების შექმნას ეფუძნება. კვლევის ფარგლებში, მოსახლეობასთან გაწეული თანამშრომლობიდან გამომდინარე, დავძენთ, რომ მოსახლეობაზე ომის შედეგად დატოვებულ მძიმე

[18] ოსი რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[19] ოსი რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[20] რესპონდენტი გულისხმობს 90-იანი წლების ქართულ-ოსურ კონფლიქტებს
[21] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან
[22] ოსი რესპონდენტი სოფელი შინდისიდან

კოლექტიურ მეხსიერებასთან ერთად, კვლავ არსებობს ტრამვული მეხსიერების ორმხრივად გააზრების, ემპათიის, ურთიერთგაგების, შერიგების სურვილი, რასაც მშვიდობის მიღწევის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს.

გარდა ქართულ-ოსური ურთიერთობების მეხსიერების კვლევისა, შევეცადეთ, რესპონდენტებისგან, კონფლიქტის ფენომენოლოგიური, კონტექსტ-სენსიტიური აღქმა და მშვიდობის მიღწევის გზები და ამ პროცესში, შესაძლო ლიმიტაციების განსაზღვრაც შეგვესწავლა. ამ ორ ცენტრალურ საკითხზე, რესპონდენტებისგან შეგროვებული ხედვები, ქვედა ორ სექციაში ავსახეთ.

ომისა და კონფლიქტის აღქმა: მწველი სიჩუმე და ყველაფერი მშვიდობის გარდა

დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად რესპონდენტების სურვილისა, ესაუბრათ ქართულ-ოსური კონფლიქტების ჯაჭვსა თუ აღქმებზე, მათთვის მძიმე აღმოჩნდა ამ კონფლიქტებთან დაკავშირებული მეხსიერების აღდგენა და ჩვენთვის გაზიარება; რადგან, რესპონდენტების დიდ ნაწილს, სწორედ ამ კონფლიქტების შედეგად ჰყავდა ოჯახის წევრები თუ ახლობლები დაღუპული ან შერეულ ოჯახებს წარმოადგენდნენ. ამ თემებზე საუბრის სირთულის გააზრებასთან ერთად, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ კონფლიქტების გახსენება და მათზე რეფლექსია საჭირო პროცესია, რადგან მათ მეხსიერებაში მნიშვნელოვანი გამოცდილებებია დალექილი.

კონფლიქტების აღქმაზე საუბარს, რესპონდენტები, კვლავ 90-იანი წლების გახსენებით იწყებდნენ. მათივე თქმით, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ის ქრონიკული დაძაბულობა, რომელიც რეგიონში შეიქმნა და რომელიც დღესაც არსებობს. მათი თქმით, 90-იან წლებში ყოველდღიური მოვლენა იყო არაფორმალურ დაჯგუფებებს შორის კონფრონტაციები და ისეთი კრიმინალური აქტები, როგორიცაა ყაჩაღობა, ადამიანების გატაცება და მკვლელობები. კვლევის მონაწილეები, საუბრის დროს ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად შედარებით სტაბილური პერიოდებისა, რეგიონში მუდმივად დაძაბული მდგომარეობა იყო და ეს დღესაც ასეა. ამასთან, რამდენიმე რესპონდენტმა, რომელსაც სოფელ მერეთში შევხვდით, აღნიშნა, რომ განგრძობადი დაძაბულობა, განსაკუთრებით ცხინვალთან ახლოს მდებარე სოფლებში იყო საგრძნობი; ამასთანავე, ინტერვიუს დროს, ერთ-ერთ რესპონდენტს, რომელიც სოფელ ერგნეთში ცხოვრობს, ვთხოვეთ ეთქვა, თუ რას დაარქმევდა დღეს არსებულ მდგომარეობას რეგიონში. მისი თქმით, დღევანდელობას ***მწველი სიჩუმე***[23] ჰქვია; ისეთი სიჩუმე, რომელიც ***არასასიამოვნოა და დამძაბველი***; რადგან ***რეგიონში დღეს რაც ხდება ყველაფერია, გარდა მშვიდობისა***. ეს ცალკეული შეფასება საინტერესოდ ებმის იმ სხვა რესპონდენტების სიტყვებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ ***მშვიდობა მხოლოდ სამხედრო დაპირისპირების არარსებობას არ გულისხმობს***.

დავაზუსტებთ, რომ ინტერვიუების დროს, რესპონდენტებს უჭირდათ კონფლიქტის ზუსტ პერიოდებზე საუბარი, რადგან მათთვის კონფლიქტი მუდმივ მდგომარეობად და ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იყო აღქმული; კვლევის მონაწილეთა მონათხრობი ხაზს უსვამს იმასაც, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს ხანგრძლივი კონფლიქტის გამოცდილებამ ადამიანების მიერ გარემოს აღქმაზე და რა გრძელვადიანი სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ მდგომარეობას მათზე. კოლექტიური ტრავმა და ამ ტრავმის გადალახვისთვის სივრცის არარსებობა, დღემდე

[23] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან.

ახდენს გავლენას რესპონდენტების მიერ რეალობის აღქმასა და საფრთხეების იდენტიფიცირების უნარზე.

> *"მე რომ წამოვედი 90-იანებში ამ დრომდე სულ ომია, ჩემი ოჯახი ამას შეეწირა. ჩემთვის ეს კონფლიქტი არ არის. კონფლიქტი არის ახლა რომ ვიღაცას დავუყვირებ და ვეჩხუბები და ორი კვირის მერე რომ ისევ ერთად ვიქნებით. მე რომ წამოვედი 89 წელს, ახლა რომელი წელია?, მთელი ჩემი ოჯახი შეეწირა ამ ე.წ. კონფლიქტებს, ჩემთვის სულ ომია[24]"*
>
> *"როცა ბავშვი ვიყავი, 2008-მდე ომი მეგონა ნორმალური მდგომარეობა. ამასთან ერთად გავიზარდე. მშვიდობა საერთოდ არ ვიცოდი რა იყო. ნორმალური მდგომარეობა იყო ეს ჩემთვის[25]"*

რამდენიმე რესპონდენტმა გვითხრა, რომ მათთვის კონფლიქტი იმდენად ნორმალიზებული იყო, რომ 2004 წლიდან დაწყებული დაძაბულობა სერიოზულად არ აღუქვამთ. მათთვის საცხოვრებელი ადგილის დროებით დატოვება და რამდენიმე კვირაში, სიტუაციის დასტაბილურების შემდეგ უკან დაბრუნება ჩვეულებრივი ამბავი იყო. 2008 წელს ბევრმა მათგანმა სახლები იმ იმედით დატოვა, რომ რამდენიმე დღეში უკან დაბრუნდებოდნენ. რესპონდენტები იხსენებდნენ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ასე მძიმედ განვითარებას არ ელოდნენ. რესპონდენტების მონათხრობიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ **კონფლიქტის ნორმალიზება იმდენად რთული სოციალური და ფსიქოლოგიური ფენომენია, რომ მან შესაძლოა უსაფრთხოების ცრუ განცდებიც შექმნას**; 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი არსებული კონფლიქტის მნიშვნელოვან ესკალაციას წარმოადგენდა და იმაზე ფართო მასშტაბები ჰქონდა, ვიდრე მოსახლეობა ელოდა:

> *"2004 წლისთვის უკვე ათეული წელი იყო ამ სიტუაციაში ცხოვრების გასული. ამას არ ველოდით. კი იყო შეტევა და დაძაბული მდგომარეობა, მაგრამ ასეთი რამის მოლოდინი არ გვქონდა. 2008-შიც ისე წამოვედით ერედვიდან, როგორც ყოველთის მივდიოდით, რომ დღეს თუ არა, ხვალ მოვალთ უკან. არაფერი არ წამომიღია, სრულიად მოუმზადებლები ვიყავით[26]"*

რესპონდენტებისგან კონფლიქტების მეხსიერების გაზიარებამ, კვლევას ომისა და კონფლიქტის დიფერენცირებასთან დაკავშირებული საინტერესო მიგნებაც მისცა. რამდენიმე რესპონდენტის შეფასებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეტაკებები ***ომი*** იყო, ხოლო 90-იანი წლებიდან ოსებსა და ქართველებს შორის დაწყებული დაპირისპირებები, ***კონფლიქტი***. რამდენიმე რესპონდენტის თქმით, 90-იანი წლების კონფლიქტებზე ქართველებსა და ოსებს ერთმანეთში ***საკმარისად არ უსაუბრიათ***. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით კი, ***საერთოდ არ უსაუბრიათ***[27]. რესპონდენტები ამბობდნენ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს, მნიშვნელოვანია საკითხის დიპლომატიური გზებით მოგვარება; ისინი ამბობდნენ, რომ ამ პროცესში, ხალხს შესაძლოა ნაკლები ცოდნა და გამოცდილება ჰქონდეს და საჭიროა, საერთაშორისო აქტორების ჩართულობა; ხოლო

[24] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან
[25] რესპონდენტი სოფელი ტირძნისიდან
[26] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან
[27] რესპონდენტი სოფელი შინდისიდან

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება, რესპონდენტების თქმით, პირველ რიგში, შიდა-სახელმწიფოებრივი ინტერესი უნდა გახდეს, რომელში მონაწილეობას, ***პოლიტიკოსებიც სჭირდება და მოსახლეობის ჩართულობაც***[28]. რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ომსა და კონფლიქტს შორის არსებული ამ განსხვავების გათვალისწინება საჭიროა მათი მოგვარებისა თუ გადაჭრის გზების ძიებისას.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, რეგიონში მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა. რესპონდენტების თქმით, ეს ომი ***დღესაც ღიაა და არ დასრულებულა***. რამდენიმე რესპონდენტს ვთხოვეთ ეთქვათ, თუ რას ნიშნავდა დაუსრულებელი ომი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ სოფლები იცლება და მოსახლეობას სახლში ყოფნის ეშინია; არავინ იცის, როგორ დასრულდება ის, რაც 2008 წელს დაიწყო. განგრძობადი ბორდერიზაციის გამო, ადგილობრივ მოსახლეობას მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში უწევს ცხოვრება. რესპონდენტების თქმით, სოფლების დაცლის მიზეზი რეგიონში შექმნილი არა მხოლოდ მძიმე ეკონიმიკური მდგომარეობაა, არამედ აქ ცხოვრების თანმდევი შიშებიც; რესპონდენტების თქმით, შიშსა და დაუცველობაში ცხოვრება, დღეს რეგიონში მცხოვრები ყველა ასაკის ადამიანისთვის არის ნაცნობი. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ხშირად, ***„ერთი ვედრო ვაშლის საკრეფად წასული ადამიანი დაუკავებიათ რუს მესაზღვრეებს***[29]***“***. ეკონომიკური მდგომარეობა კი დღეს იმდენად მძიმეა, რომ მოსახლეობის ნაწილს ამ შიშების მიუხედავად, არ აქვს შესაძლებლობა უარი თქვას იმ მცირე მოსავალზე, რომელიც საკუთარ მიწაზე მოჰყავთ.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სოფელ შინდისში საველე სამუშაოები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 15 წლის გასვლას დაემთხვა[30]; სოფლის მოსახლეობა ამბობდა, რომ ხელისუფლებას მხოლოდ ამ დღეს ახსენდება რუსეთ-საქართველოს ომი. რესპონდენტების შეფასებით, 2008 წლის ომი, თითქოს ***აღარავის ახსოვს***. ერთ-ერთი რესპონდენტი გვიამბობს:

> *“ჩამოდიან ესე[31]. წელიწადში ერთხელ. ვენოკით ყვავილებს მოიტანენ. ფოტოებს გადაიღებენ და მიდიან. ისე გაივლიან მანქანებით, ერთს არ გაჩერდებიან სახლებთან. რომ გაიგონ რა ხდება და რა გვინდა. მერე ვსხედვართ და ტელევიზორიდან ვუყურებთ, აქ რომ იყვნენ და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გამოსულან. ვითომ, ჩაეთვალათ ეს საქმის გაკეთებაში[32]”.*

რადგან საველე სამუშაოები რუსეთ-საქართველოს ომიდან 15 წლის გასვლას დაემთხვა, რესპონდენტების ნაწილი, ყურადღებას ამახვილებდა იმაზეც, თუ როგორ ხდებოდა ომის მედია დღის წესრიგში მოხვედრა. რამდენიმე რესპონდენტი ამბობდა, რომ მედია დიდ დროს უთმობდა იმის გარკვევას, თუ კონკრეტულად რომელ დღეს დაიწყო ომი. რესპონდენტების თქმით, ომი არც 8 და არც 7 აგვისტოს არ დაწყებულა. ეს ომი დიდი ხნით ადრე დაიწყო, უბრალოდ ამას არავინ იმჩნევდა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

---

[28] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[29] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[30] ავტ. შენ: სოფელ შინდისში საველე სამუშაოები 15 აგვისტოს დაიწყო
[31] რესპონდენტი გულისხმობს ხელისუფლების წარმომადგენლებს
[32] რესპონდენტი სოფელი შინდისიდან

იდგნენ და არკვევდნენ[33], ვინ როდის დაიწყო ომი. ერთი ამბობდა შვიდი [აგვისტო] იყოვო, მეორე ამბობდა რვაო. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ჩვენზე კარგად იცოდნენ ომი. არა. ომი არც შვიდში და არც რვაში არ დაწყებულა. ომი დიდი ხნით ადრე დაიწყო. ჩამოდით ბატონო და გვკითხეთ, როდის დაიწყო ომი. სად იყო ან შვიდი აგვისტო და ან რვა აგვისტო, აქ რომ უკვე ომის სუნი იდგა. ეს ომი, ბევრად ადრე დაიწყო[34].

კონფლიქტის აღქმებზე, წარსულსა და აწმყოზე არსებულმა რეფლექსიებმა გამოაჩინა, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის კონფლიქტი არ დასრულებულება; ის ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც სოფლებში ცხოვრებას აგრძელებს, თანმდევ შიშსა და დაუცველობაში ცხოვრებს. მოსახლეობა გვიყვებოდა, რომ **მაშინ, როცა მუდმივი დაძაბულობა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, სტაბილურობისა და კონფლიქტის პერიოდების გამიჯვნა კიდევ უფრო რთული ხდება**. ეს ხაზს უსვამს კონფლიქტების გრძელვადიანი ფსიქოლოგიური და სოციალური გავლენების გათვალისწინების აუცილებლობას მშვიდობის მშენებლობის პროცესში. კვლევისას ნათლად წარმოჩინდა კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის ნიუანსური ხედვა კონფლიქტების წარსულსა და აწმყოზე, რაც განსხვავებულია ქართულ საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში გაბატონებული ხედვებისაგან. აქვე აღვნიშნავთ, რომ სოფლებში გაწეული საველე სამუშაოების დროს, ადგილობრივი მოსახლეობა, კონფლიქტის აღქმებზე საუბრის შემდეგ, დიდ ყურადღებას ამახვილებდა მშვიდობის მიღწევის აუცილებლობაზე; სწორედ ამიტომ, შევეცადეთ, ამ თემასთან დაკავშირებული მიგნებები ანგარიშის შემდეგ სექციაში წარმოგვედგინა.

მშვიდობის მშენებლობის მრავალშრიანობა

კვლევა მიზნად ისახავდა მშვიდობისა და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის აღქმებისა და მათი თვალით დანახული გამოსავლების შესწავლას. თუმცა, კვლევისას გამოიკვეთა, რომ რესპოდენტები, შედარებით ნაკლებად საუბრობდნენ მშვიდობის მიღწევის კონკრეტულ გზებზე. ასევე, რესპონდენტების უმრავლესობა ამბობდა, რომ მათთვის ბუნდოვანი იყო, **არსებობდა თუ არა სახელმწიფო დონეზე, მშვიდობის მიღწევის რაიმე სტრატეგია.** მათივე თქმით, მშვიდობის მიღწევა, კონფლიქტის ისტორიის გადააზრების გარეშე, განწირულია და რეალური შედეგის მომტანი ვერ იქნება.

კვლევის მონაწილეებისთვის, მშვიდობა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობას არ გულისხმობდა. მეტი სიცხადისთვის, რესპონდენტებს ვთხოვეთ ეთქვათ, თუ რას ნიშნავდა მათთვის მშვიდობა; კვლევის მონაწილეები ამბობდნენ, რომ მათთვის მშვიდობა ისეთი საკითხების მომცველი სიტყვაა, როგორიცაა ***დაცული საზღვრები, რუსეთის მხრიდან ზეწოლის არარსებობა, მეზობლებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, უსაფრთხოების განცდა და სახელმწიფოებრივად, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.*** ინტერვიუების დროს, ყველა რესპონდენტი თანხმდებოდა, რომ მშვიდობის ომის გზით მიღწევა შეუძლებელია. ნაცვლად ამისა, ამბობდნენ, რომ მშვიდობის მისაღწევად დიპლომატიური ძალისხმევის გაღება, კონსტრუქციული

[33] რესპონდენტი გულისხმობს ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემას
[34] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან

დიალოგი და მოსახლეობის ჩართულობაა საჭირო. მათი თქმით, დღეს, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ძალების ყოფნა პირდაპირ ეწინააღმდეგება
მშვიდობის ამ ხედვას:

> *"სად არის მშვიდობა? რომელ მშვიდობაზე ვლაპარაკობთ, როცა ეზოში მავთულხლართია. ეს არაა მშვიდობა. მშვიდობა არაა მარტო ის, რომ ვიღაც თოფს არ გიმიზნებს და არ გესვრის. მშვიდობაა ის, რომ მე ჩემ მომავალს სხვა თვალით ვუყურებდე, ვიღაც არ მაკონტროლებდეს[35]"*
>
> *მშვიდობა არ არის მხოლოდ ომის არ არსებობა. მშვიდობა არის საკუთარ სახელმწიფოში მრავალმხრივი დაცულობის განცდა. გადაწყვეტილებებში რომ იყო დამოუკიდებელი. ეროვნული ინტერესების გათვალისწინება და არავის დაკვეთებს არ ასრულებდეს სახელმწიფო[36]"*

რესპონდენტების ნაწილის თქმით, არ ეთანხმებიან და სკეპტიკურად უყურებენ სახელმწიფოს მხრიდან მშვიდობის ისეთ ხედვას, რაც რუსეთთან კომპრომისზე წასვლას გულისხმობს. მათ არ ჰგონიათ, რომ ამ გზით მოპოვებული მშვიდობა მდგრადია და პირიქით, მსგავსი მიდგომა მომავლის შიშს უმძაფრებთ. მათი შეფასებით, რუსეთთან საერთოს ენის გამონახვა კიდევ უფრო მეტად დააზარალებდა რეგიონს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გვითხრა: ***რუსეთს არ აინტერესებს აქ ადამიანის სიცოცხლე. რაც აინტერესებს ხომ ყველამ ვიცით. მიწა და დასაკუთრება[37].*** რესპონდენტების მეორე ნაწილი, რუსეთთან საერთო ენის გამონახვაზეც საუბრობდა; თუმცა აღნიშნავდნენ, რომ არ იცოდნენ, კონკრეტულად როგორი ფორმით და რა საკითხებზე იყო შესაძლებელი ამ საერთო ენის გამონახვა.

კვლევის მონაწილეთა თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლები არ იცნობენ მოსახლეობის პრობლემებს, საჭიროებებსა და ხედვებს და ამით ნაკლებად ინტერესდებიან. სოფლებში არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო ჩადიან, ვიდრე სამთავრობო უწყებები. შესაბამისად, საველე სამუშაოების დროს, რესპონდენტების უმრავლესობა ამბობდა, რომ სამოქალაქო სექტორს მეტად ენდობოდა, ვიდრე ხელისუფლებას. ისინი ხაზს უსვამდნენ არასამთავრობო სექტორის მხრიდან დიალოგის ფასილიტაციის პოტენციალს. ამასთან, მათი თქმით, აუცილებელია ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადგილზე მოსახლეობასთან აქტიური და მდგრადი თანამშრომლობა და არა ცენტრიდან, დისტანცირებული მუშაობა. მშვიდობა არ მიიღწევა ადგილობრივი მოსახლეობის, დიალოგის და კომუნიკაციის გარეშე, თუმცა ამავდროულად, აუცილებელია ხელისუფლების დონეზე სწორი პოლიტიკის არსებობა. თითქმის ყველა რესპონდენტი ამბობდა, რომ **ამჟამად ხელისუფლება არ ინტერესდება ქართულ-ოსური ურთიერთობების კომპლექსურობით და ამ საკითხებზე არ მუშაობს**:

---

[35] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[36] რესპონდენტი სოფელი ტირძნისიდან
[37] რესპონდენტი სოფელი ტირძნისიდან

ხელისუფლებისთვის მხოლოდ რუსეთი და საქართველოა. ოსები მესამე მხარეა მათთვის და არ ჩანს. ხელისუფლება სადღაც ზედა სართულიდან იყურება და პირდაპირ, უშუალოდ ურთიერთობაში ამ სოფლებში მცხოვრებ ხალხთან არაა და არ იცის ეს მდგომარეობა. ეს ოსები მთლად რუსებად ჰყავთ მიჩნეული[38]"

საველე სამუშაოების დროს, ცხადი გახდა, რომ რესპონდენტები მშვიდობას ისეთ პროცესად აღიქვამდნენ, რომელსაც ძალისხმევის გაღება და კონფლიქტის ძირერულ მიზეზებზე მუშაობა სჭირდება. ამ პროცესისთვის აუცილებელია კონფლიქტების გადააზრება, წყენის გადალახვა და ორმხრივ კომპრომისებზე წასვლა. რესპონდენტები თანხმდებოდნენ, რომ მშვიდობის მშენებლობის პროცესებში წამყვანი როლი უნდა ჰქონდეს ახალგაზრდებთან მუშაობას, რამაც შესაძლოა გაარღვიოს კონფლიქტის ციკლი და უფრო მშვიდობიანი მომავლის იმედიც გააჩინოს. მნიშვნელოვანია ამ პროცესებში სოფლად მცხოვრები ქალების ჩართულობაც, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებული სიმწავავით განიცდიან ომის სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს. ამასთან, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერება, განსაკუთრებული აქცენტით სოფლის მეურნეობის გაძლიერებაზე.

"უნდა გააქტიურდეს რეგიონში მუშაობა. მუშაობა უნდა დაიწყონ ახალგაზრდებიდან, იმიტომ რომ სხვა თაობა მოდის. ადგილობრივმა მოსახლეობამ მეტი იცის. ხელისუფლებამ მათგან უნდა ისწავლოს, ითანამშრომლოს. სოფლად მცხოვრებ ქალებს ძალიან დიდი პოტენციალი აქვთ მშვიდობის მშენებლობის. შრომის ფასიც იცის, ომის ფასიც იცის და მშვიდობის ფასიც იციან[39]"

"მე ვფიქრობ, რომ ახალგაზრდებისთვის აუცილებელია ერთმანეთთან შეხვედრა, რომ ყველაფერი იცოდნენ კარგად, გაიგონ ერთმანეთის აზრები. ახალგაზრდების ურთიერთობა, ჩართულობა, დაახლოება ძალიან ხელს შეუწყობს ყველაფერს[40]"

მშვიდობის მსგავსი ნიუანსირიზებული ხედვა ხაზს უსვამს ადმინისტრაციული ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის გამოცდილებებისა და ცოდნის მნიშვნელობას მშვიდობის მშენებლობის პროცესისთვის; ამ ადამიანებმა ძალადობისა და პოლიტიკური დაპირისპირებების გავლენა საკუთარ თავზე გამოსცადეს. მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრება გადაჯაჭვულია კონფლიქტების დინამიკასთან; ეს მათ უნიკალურ ცოდნას და პერსპექტივას სძენს. აღნიშნული პერსპექტივა, მნიშვნელოვანია უფრო მყარი და ინფორმირებული სამშვიდობო სტრატეგიის შესაქმნელად.

რესპონდენტების თქმით, მშვიდობის მიღწევისთვის მნიშვნელოვანი იქნება დათმობის საკითხის გააზრებაც, როგორც ქართველი, ასევე - ოსი მოსახლეობის მხრიდან. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა აქცენტს მომავალში მშვიდობის მიღწევაზე უნდა სვამდეს და, რაც არ უნდა რთული იყოს, მოსახლეობამ წარსულის

[38] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან
[39] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[40] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან

გადააზრება შეძლოს. მათი შეფასებით, ტკივილი ორივე მხარეს იყო - ადამიანებმა დაკარგეს ოჯახის წევრები და ახლობლები. დატოვეს სახლები და საკუთარი მიწები. დათმობის საკითხზე, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

> *"სამი სახლი გვქონდა ჩვენ ცხინვალში. გვქონდა მაგრამ აღარ გვაქვს. ეხლა მე რა უნდა ვთქვა? რომ ვინც ცხოვრობს, იმათ ვუთხრა, ადექით და გამოდით, მე უნდა ვიცხოვრო, ჩემი სახლია-მეთქი?! იმას ველარც ვუყურებ ჩემ სახლად. მიყვარს, მახსოვს, მაგრამ ამდენი წელი გავიდა. ვერც შევეგუები მაგრამ აღარც ვიტყვი. რაღაცა ხომ უნდა დავთმოთ, რაღაცით ხომ უნდა შევხვდეთ მომავალს?! აგერ ახალგაზრდა თაობა, ისევ ომისთვის გავწიროთ?![41] "*

აქვე აღვნიშნავთ, რომ დათმობის საკითხების შესწავლა დამატებითი, კვლევის საგანი შეიძლება გახდეს, ვინაიდან ამ საკითხზე არსებული მოსაზრებები განსხვავებულია და, რესპონდენტების თქმით, მშვიდობის მიღწევისთვის მნიშვნელოვანიც. კვლევამ მოიცვა ისეთი რესპონდენტებიც, რომლებიც ამბობდნენ რომ ის სახლი, რომლის დათმობაც მათ მოუწიათ, მათ წარსულთან არის დაკავშირებული და ამიტომ, სივრცესთან დიდი ემოციური კავშირები აქვთ. ამის გამო, ამბობდნენ, რომ სახლის დატოვება მათთვის ***მხოლოდ ფიზიკური სივრცის გაქრობას არ გულისხმობდა,*** არამედ, როგორც ერთ-ერთმა, სოფელ ერგნეთში მცხოვრებმა რესპონდენტმა გვითხრა - ***მთელი ჩემი წარსული იმ სახლშია. ჩემი მშობლები... აწმყოც ვერ დავიწყე და რა მომავალზე ვიტყვი რამეს, წარსულს ვერ შევგუებულვარ. როგორია, დატოვო ყველაფერი, შენი კარ-მიდამო, რაც გიყვარს, და უცბათ წამოხვიდე. მენატრება, ძალიან მენატრება. და სულ მენატრება***.

კვლევის მონაწილეების მომავლის მიმართ დამოკიდებულება ისეთივე კომპლექსური და მრავალშრიანი აღმოჩნდა, როგორც მათი წარსული გამოცდილებები. ერთი მხრივ, ისინი სახელმწიფოს დღევანდელი პოლიტიკიდან გამომდინარე პესიმისტურად არიან განწყობილები, მეორე მხრივ კი იმედი აქვთ, რომ მომავალი თაობები შეძლებენ კონფლიქტის და დაძაბულობის ციკლის გარღვევას. მათ პერსპექტივაში არსებული დუალიზმი განპირობებულია იმ რთული ისტორიული და სოციალური კონტექსტით, სადაც მათ მთელი ცხოვრება აქვთ გატარებული.

> *"ისეთი შეგრძნება, რომ ასეთი მშვიდობით მე და კიდევ ბევრი ჩემნაირი არ ვიქნებით 10 წლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეები. ჩვენი ფენა ვიქნებით ემიგრაციაში ან უსახლკაროები. აღარც სახელმწიფო გვექნება, აღაც ენა, აღაც მამული და აღარც სარწმუნოება[42] "*
>
> *"მაინც ვფიქრობ რომ ჩვები შვილები თუ არა შვილიშვილები მაინც შეძლებენ, რომ უკეთესად იყოს ყველაფერი. სულ მგონია, რომ ვიქნებით ერთად, ყველაფერი კარგად იქნება. არ ვარ ნეგატიურად განწყობილი[43] "*

ადმინისტრაციულ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა ცდილობს როგორც წარსული გამოცდილებების ტრავმასთან, ისე დღევანდელი პოლიტიკის მიმართ იმედგაცრუებასთან

[41] რესპონდენტი სოფელი ერგნეთიდან
[42] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან
[43] რესპონდენტი სოფელი მერეთიდან

გამკლავებას, თუმცა ამავდროულად ინარჩუნებს რწმენას, რომ მომავალი თაობები შეძლებენ კონფლიქტის ტრანსფორმაციას.

დასკვნა

კვლევის ანალიტიკურ ჩარჩოს სამი ძირითადი საკითხის - ქართულ-ოსური თანაცხოვრების დინამიკის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის დღევანდელი ყოფისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული აღქმების შესწავლა წარმოადგენდა. კვლევამ სამივე საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი მიგნებები გამოკვეთა და ასევე, ისეთი საკითხებიც აჩვენა, რომელიც დამატებითი ნიუანსირიზებული კვლევის საგნად შეიძლება იდენტიფიცირდეს.

კვლევის მონაწილეების შეფასებით, ქართულ-ოსური ურთიერთობები დროში ცვალებადია და მასზე გავლენას, სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები ახდენდა. მათივე თქმით, 90-იან წლებამდე არსებული ოსურ-ქართული ურთიერთობები პოზიტიურია, რადგან ქართველისა და ოსის იდენტობა ამ პერიოდებში არ არსებობდა; მოსახლეობა ერთმანეთთან ახლოს იყო; ჰქონდათ როგორც საქმიანი, ასევე - ნათესაური და ახლობლური ურთიერთობები. ამის ფონზე, 90-იანი წლების ქართულ-ოსურმა კონფლიქტებმა, ქართულ-ოსური იდენტობა და ჯგუფებს შორის ის დაძაბულობა წარმოშვა, რომელიც დღესაც გრძელდება. ქართველი და ოსი რესპონდენტები კრიტიკულად იყვნენ პოლიტიკური აქტორების და გავლენიანი მედია საშუალებების მიმართ განწყობილნი; მათი შეფასებით, კონფლიქტების შემდეგ, ჯგუფებს შორის დაახლოებაზე არცერთს არ უმუშავია. რესპონდენტების თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა ის ჯგუფია, რომელსაც კონფლიქტისა და ომის მეხსიერება დღესაც აქვს; და სწორედ აღნიშნულ მეხსიერებას გააჩნია კონფლიქტის ტრანსფორმაციის, თუ უფრო ფართოდ - მშვიდობის მშენებლობის პოტენციალი. რესპონდენტების შეფასებით, უმნიშვნელოვანესია ამ მეხსიერების პოლიტიკურ ველზე დანახვა და მშვიდობის მიღწევის სტრატეგიების შემუშავების პროცესებში გათვალისწინება. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, ქართულ-ოსური ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად დააზინა - თითქმის სრულად გააქრო ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ფიზიკური კონტაქტის პოტენციალი. ასევე, კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ომმა დაუსრულებელი, ერთგვარად ქრონიკული მდგომარეობა შეიძინა; მათი თქმით, არც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომია დღეს დასრულებული და არც 90-იანი წლების კონფლიქტები გარკვეულა ქართველებსა და ოსებს შორის; უფრო მეტიც, რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ქართველებსა და ოსებს, თითქმის არ ჰქონიათ შესაძლებლობა, ამ კონფლიქტებზე ესაუბრათ და მოესმინათ ერთმანეთის არგუმენტები თუ მოსაზრებები.

კვლევის ყველა რესპონდენტისთვის, მშვიდობის მიღწევა სამომავლო ცხოვრების უალტერნატივო მოცემულობაა. ქართულ-ოსური მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებლობას მათ სწორედ პირადი გამოცდილებები კარნახობთ. მათი საუბრებიდან ჩანდა, რომ წარსულზე რეფლექსიისა და თვითრეფლექსიის პროცესის გარეშე, მშვიდობიანი მომავლის რეალისტური რწმენა შეუძლებელია. რესპონდენტები ამბობდნენ, რომ მიმდინარედ არსებული განგრძობადი ბორდერიზაციის პროცესები, რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას ქრონიკულად დაუცველ მდგომარეობაში ამყოფებს. ამის გამო, რესპონდენტები ამბობდნენ, რომ რეგიონი, გარდა ეკონომიკური პრობლემებისა, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა და მიუხედავად აქ ცხოვრების სიმძიმისა, ეს ყოფა დომინანტურ პოლიტიკურ დღის წესრიგში გათვალისწინებული არ არის.

კვლევას, სამუშაო მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, არ ჰქონია ამბიცია, რომ მიგნებების რაოდენობრივი გენერალიზება მთელს სამიზნე ჯგუფზე მოეხდინა. დღეს, როდესაც საველე სამუშაოები შეგროვებულია და მოსახლეობასთან თანამშრომლობის გამოცდილებაც გვაქვს, მიგვაჩნია რომ კვლევაში ასახული სამივე ცენტრალური საკითხი, მეტად დეტალურად შესწავლის მიზნით, ცალკეული კვლევის მიზანიც შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იქნებოდა, სამომავლო კვლევებს ისეთი ქოლგა საკითხები დაეფარა, როგორიცაა: 90-იანი წლების საქართველოში არსებული პოლიტიკური პროცესების შეფასება, კონფლიქტებზე პასუხისმგებლობის ცნების გაშლა და საქართველოში დარჩენილი ოსების კონფლიქტებთან და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებული პერსპექტივების დეტალიზებული სწავლა.

ვიმედოვნებთ, რომ კვლევას ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა მცხოვრები მოსახლეობაც წაიკითხავს და ჩვენც მოგვეცემა მათი რეფლექსიების მოსმენის თუ წაკითხვის შესაძლებლობა.

ბიბლიოგრაფია

ვი, ჰ. (2023, 07 11). *კრიზისი და ქრონიკულობა: ანთროპოლოგიური თვალსაზრისი მუდმივ კრიზისსა და დაცემაზე.* Retrieved 11 19, 2023, from სოციალური სამართლიანობის ცენტრი: https://socialjustice.org.ge/ka/products/krizisi-da-kronikuloba-antropologiuri-tvalsazrisi-mudmiv-krizissa-da-datsemaze

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* (ნ. ჯავახიხიშვილი, Ed.) თბილისი, საქართველო: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიგოევი, მ. (2011). ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადაწყვეტის ზოგიერთი ასპექტი ქართულ-ოსური ურთიერთობების ჭრილში. In *ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება; ოს მკვლევართა სტატიების კრებული* (pp. 39-58). ანალიზისა და კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუტი.

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა; ქალთა საინფორმაციო ცენტრი; ქალთა ფონდი სოხუმი. (2023). *□□□□□□□□□□□□ □□□□□□□ □□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□□ □□□□□□□□□/□□□□□□□ □□□□□□ □□□□□□ □□□□□□ □□ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□ □□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□.* თბილისი.

ხარებოვი, ბ. (2011). სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია: არსებული ამოცანები და განვითარების სტრატეგია. In ს. ა. ნანი (Ed.), *ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება; ოს მკვლევართა სტატიების კრებული* (pp. 6-38). ანალიზისა და კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუტი.

სართანია, ქ. (2021). *ბრძოლა და მსხვერპლშეწირვა: საქართველოს უახლესი ისტორიის ნარატივები.* Carnegie Endowment for International Peace.

ადამიანის უფლებათა ცენტრი. (2022). *კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი.* თბილისი.

ხაინდრავა, ი. (2011). სამოქალაქო საზოგადოება და სამშვიდობო პროცესი. In *ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება; ქართველ მკვლევართა სტატიების კრებული* (pp. 32-50). თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

გაჩეჩილაძე, რ. (2011). ადამიანური ფაქტორი ხალხთა შორის ნდობის აღდგენის პროცესში: საქართველოში მცხოვრები ოსების თვალსაზრისის შესწავლა. In ს. ა. ნანი (Ed.), *ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება* (pp. 51-68). თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ჭანკვეტაძე, ნ., & მურუსიძე, ქ. (2021). *საქართველოს კონფლიქტები: რატომ უნდა გადაიხედოს რადიკალური ნარატივები.* Carnegie Endowment for International Peace.

ფირანიშვილი, თ. (2020). *საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული ინტერესების დაცვის დისკურსები,*

პრაქტიკები და გამოწვევები. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.
ფირანიშვილი, თ. (2021). *სამშვიდობო პოლიტიკა - ახალი მიდგომების და პერსპექტივების ძიებაში.* თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.
საერთაშორისო ამნისტია. (2019). *მავთულხლართებს მიღმა „ბორდერიზაციით“ გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში.* თბილისი.
ზაქარეიშვილი, პ. (2021). *კონფლიქტები საქართველოში.* თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
ზაქარეიშვილი, პ., ჯორბენაძე, რ., ხიდაშელი, თ., კუბლაშვილი, კ., ხაინდრავა, ი., გოგია, გ., . . . დარჩიაშვილი, დ. (2005). *ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულების შესახებ.* თბილისი: ღია საზოგადოება საქართველო.
თარხან-მოურავი, გ. (2011). კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში: ამჟამინდელი პრობლემები და დევნილთა დაბრუნების პერსპექტივები. In ს. ა. ნანი (Ed.), *ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება* (pp. 6-32). თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
Atkinson, J. D. (2017). Research Methodologies. In J. D. Atkinson, *Journey into Social Activism* (pp. 28-65). Fordham University Press.
Cooper, R. (2014). Phenomenology in Peace and Conflict Studies Research: Getting to the Essence of an Experience. In R. Cooper, & L. Finley (Eds.), *Peace and Conflict Studies Research A Qualitative Perspective* (pp. 69-90). Charlotte, North Carolina, United States of America: INFORMATION AGE PUBLISHING.
Cooper, R., & Finley, L. (2014). Introduction: Exploring Qualitative Approaches to Researching Peace and Conflict. In R. Cooper, & L. Finley (Eds.), *Peace and Conflict Studies Research: A Qualitative Perspective* (pp. 1-22). United States of America: Information Age Publishing.
Dunn, E. C. (2018). *No path home: Humanitarian camps and the grief of displacement.* Cornell University Press.
Galtung, J. (1996). *Peace by Peaceful Means: Peace and Conflict, Development and Civilization.* SAGE Publications.
Gegeshidze, A. (2011). Conflict resolution policy after August 2008. (A. Gegeshidze, & I. Khaindrava, Eds.) *Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm*, 29-37.
Hirschberger, G. (2018). Collective trauma and the social construction of meaning. *Frontiers in psychology, 9*.
Kriesberg, L. (2011). *The State of the Art on Conflict Transformation.*
Lederach, J. P. (1997). *Building Peace - Sustainable Reconciliation in Divided Societies.* Washington, D.C.: United States Institute of Peace Press.
Lederach, J. P. (2015). *Little book of conflict transformation: Clear articulation of the guiding principles by a pioneer in the field.* Simon and Schuster.

Li, M., Leidner, B., Hirschenberger, G., & Park, J. (2023). From Threat to Challenge: Understanding the Impact of Historical Collective Trauma on Contemporary Intergroup Conflict . *Perspectives on Psychological Science , 18*(1), 190-209.

Mac Ginty, R. (2014). Everyday peace: Bottom-up and local agency in conflict-affected societies. *Security Dialogue, 45*(6), 548-564.

UN Women. (2019). *საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება.* თბილისი.

Vollhardt, J. R., & Bilewicz, M. (2013). After the Genocide: Psychological Perspectives on Victim, Bystander, and Perpetrator Groups. *Journal of Social Issues, 69*(1), 1-15.

Westlund, S. (2012). *Bringing Nature to Consciousness in Peace and Conflict Studies through a Phenomenological Analysis of Veterans' Narratives of Nature and Recovery.* The University of Manitoba, Department of Peace and Conflict Studies, Winnipeg.